საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 48

04 04 2016 წელი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,რუსთაველის N3“ -ზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების დადგენის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 აპრილის სხდომის N7 ოქმის მე-9 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 4 აპრილის N03/2087 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის N817-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით

1. დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,რუსთაველის 3“-ს მრავალბინიან სახლზე მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის ფართი და საზღვრები შ.პ.ს. ,,დაგის“ მიერ შესრულებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად (მიწის ნაკვეთის ფართი - 1541 კვ.მ განაშენიანების ფართი შენობა 01/5 – 438 კვ.მ; 02/1 – 24 კვ.მ; 03/1 – 27 კვ.მ; 04/1-17 კვ.მ; 05/1 – 21 კვ.მ. 06/1 – 18 კვ.მ. 07/1 – 18 კვ.მ. 08/1 – 18 კვ.მ. 09/1 – 18 კვ.მ. 10/1 – 18 კვ.მ.).

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ,,რუსთაველის 3“-ს თავმჯდომარემ ოთარ დესპოტაშვილმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოს კორპუსზე მიკუთვნებული მიწის ნაკვეთის ფართისა და საზღვრების (წითელი ხაზების) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაცია.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე